

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №22

2010 წლის 27 იანვარი

ქ. თბილისი

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველო კანონის მე-5 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისა და „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლს მე-4 პუნქტის საფუძველზე, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველ პუნქტის გათვალისწინებით დამტკიცდეს სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსება (თანადაფინანსების) თანდართული წესი და პირობები.

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია 2010 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი ნ. გილაური

სპეციალიზებულ დაწესებულებაში პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესი და პირობები

მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს წესი განსაზღვრავს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებელთან (შემდგომში – სააღმზრდელო დაწესებულებაში), ხანდაზმულთა პანსიონატს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში – შშმ) პირთა პანსიონატში, სათემო ორგანიზაციაში, დაცენტრსა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში (შემდგომში – სპეციალიზებული დაწესებულება) პირის მოთავსების დაფინანსების (თანადაფინანსების) წესსა და პირობებს (შემდგომში – წესი).

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტებები

ამ წესში გამოყენებული ტერმინების მნიშვნელობებია:

- ა) **სამინისტრო** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- ბ) **სააგენტო** – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტო;
- გ) **რეგიონული საბჭო** – სააგენტოს, როგორც მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სათათბირო ორგანოს უფლებამოსილება და ფუნქციები განისაზღვრება კანონმდებლობით;
- დ) **მატერიალიზებული ვაუჩერი** – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყენებული მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტს ვაუჩერი განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისათვის ერთი წლის განმავლობაში და შედგება ცალკეულ თვისათვის განკუთვნილი 12 ტალონისაგან, რომლის ფორმა მტკიცდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვის მინისტრის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
- დ¹) **არამატერიალიზებული ვაუჩერი** – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების ასანაზღაურებლად გამოყენებული ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც განკუთვნილია მომსახურების დაფინანსებისათვის უმეტეს ერთი წლის განმავლობაში;
- ე) **მომსახურების მიმწოდებელი** – სპეციალიზებული დაწესებულებები (სააღმზრდელო დაწესებულება; ხანდაზმულთა პანსიონატი, შშმ პირთა პანსიონატი, სათემო ორგანიზაცია, დღის ცენტრი და დედათა და ბავშვთა თავშესაფარი);
- ვ) **ბენეფიციარი** – სპეციალიზებული დაწესებულების მომსახურების მიმღები პირი;
- ზ) **ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი** – არასრულწლოვანი ბენეფიციარის შემთხვევაში – მშობელი, მეურვე, მზრუნველი; ქმედუნარო ბენეფიციარის შემთხვევაში – მეურვე; შეზღუდული ქმედუნარიანი ბენეფიციარის შემთხვევაში – მზრუნველი; ქმედუნარიანი ბენეფიციარის შემთხვევაში – მისი მხრიდან სათანადო უფლებამოსილებით (რწმუნებულება) აღჭურვილი პირი;
- თ) **მომსახურების მიმწოდებელი ფონდი (შემდგომში – ფონდი)** – სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლ

დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი;

ო) მიუსაფარი ბავშვი - ქუჩაში მცხოვრები და/ან მომუშავე 18 წლამდე ასაკის პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია ასეთად შესაბამისი უფლებამოსილების მქონე უფროსი სოციალური მუშაკის მიმართების ანკეტის საფუძველზე.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 11.05.2012 წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №68 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის დადგენილება №640 – ვებგვერდი, 02.12.2014წ.

მუხლი 3. სპეციალიზებულ დაწესებულებაში ბენეფიციარის დაფინანსების (თანადაფინანსების) წესი

1. პირის საადმინისტრაციო დაწესებულებაში (გარდა, კრიზისული ინტერვენციის თავშესაფარში მიუსაფარ ბავშვისა), აგრეთვე, სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სპეციალიზებულ დაწესებულებაში განთავსებულ თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს რეგიონული საბჭო.

2. ფონდის ფილიალში (სპეციალიზებულ დაწესებულებაში) ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურე დაფინანსება (თანადაფინანსება) ხორციელდება რეგიონული საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი) საფუძველზე.

3. დღის ცენტრების (გარდა, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა) მომსახურების დაფინანსება ხორციელდება მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით, ამასთან, დღის ცენტრში პირის მოთავსების შესახებ გადაწყვეტილება შესაბამისად, მომსახურების მისაღებად ბენეფიციარისათვის განკუთვნილი ვაუჩერი გადაეცემა ბენეფიციარს ან კანონიერ წარმომადგენელს/მინდობით აღმზრდელს, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების მიღების მიმდინარე თვის 10 რიცხვის ჩათვლით მომსახურების მიმწოდებლისათვის ვაუჩერის შესაბამისი თვის ტალონის გადაცემას.

4. სათემო ორგანიზაციების, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრების, მცირე საოჯახო ტიპის სახლებისა და დედისა და ბავშვთა თავშესაფრების მომსახურების დაფინანსება ხორციელდება არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით.

5. ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებისას ბენეფიციარს შეიძლება შეეცვალოს მომსახურების მიმწოდებელი მაგრამ მატერიალიზებული ვაუჩერის შემთხვევაში მომსახურების მიმწოდებლის შეცვლამდე წარდგენილი ტალონი უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6. მატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებისას ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურე ასანაზღაურებლად, მომსახურების მიმწოდებელი სააგენტოს, ყოველი მიმდინარე თვის 15 რიცხვის ჩათვლით წარუდგენს ვაუჩერის იმავე თვის ტალონს, რის საფუძველზეც სააგენტო უზრუნველყოფს გაწეული მომსახურე დაფინანსებას მომსახურების მიღების თვის ამოწურვამდე. ამასთან, მომსახურების მიმწოდებლის მიერ ამ ვადარღვევით წარდგენილი ვაუჩერის ტალონი დაფინანსებას არ ექვემდებარება. ვაუჩერის ერთ ტალონზე თვე ასანაზღაურებელი თანხა შშმ პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრში შეადგენს 230 ლარს, მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა დღის ცენტრში – თვეში 378 ლარს, ხოლო 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფი ბავშვთა დღის ცენტრის შემთხვევაში, ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურების მიღების თვის კალენდარულ დღეების (შაბათ-კვირისა და უქმე დღეების გამოკლებით) რაოდენობაზე. ამასთან:

ა) თუ წინა თვეში ბენეფიციარის (ბენეფიციარების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ (მ.შ. არდადეგებზე) დღეთა რაოდენობა 12 ან მეტია, მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ანაზღაურებისათვის ჯამურად გადასარიცხი თანხის ოდენობა მცირდება გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით 11 ლარზე - პირთა (მ.შ. ბავშვთა) დღის ცენტრის შემთხვევაში, 18 ლარზე - მძიმე და ღრმა გონებრივი განვითარების შეფერხებულ მქონე შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვთა შემთხვევაში, ხოლო 6-დან 18 წლამდე ასაკის მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა დღის ცენტრის შემთხვევაში, გადასარიცხი თანხის ოდენობა მცირდება წინა თვეში ნებისმიერი მიზეზით (გარდა არდადეგებისა) გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით ვაუჩერის დღიური ანაზღაურე ოდენობის ნახევარზე, თუ გაცდენილ დღეთა რაოდენობა ხუთი ან ხუთზე ნაკლებია, ხოლო, თუ წინა თვე გაცდენილ დღეთა რაოდენობა ხუთზე მეტია, მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურე ანაზღაურებისათვის ჯამურად გადასარიცხი თანხის ოდენობა მცირდება წინა თვეში გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით ვაუჩერის დღიური ანაზღაურების ოდენობაზე;

ბ) მიმწოდებელი ვალდებულია, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის თვის 15 რიცხვის ჩათვლით, სააგენტოს წარუდგინოს მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი, დათარიღებული და ბეჭდით დამოწმებული დოკუმენტი, რომელშიც ასახულია ბენეფიციარის მიერ მომსახურების მიღების წინა თვის შესაბამისი დღის ცენტრის მომსახურებით სარგებლობის მონაცემები, რაც დადასტურებული უნდა იქნას ბენეფიციარის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის ხელმოწერით. დოკუმენტის ფორმის განსაზღვრავს სააგენტო;

გ) მიმწოდებლის მიერ გამოცხადებული არდადეგების დღეები არ ანაზღაურდება.

7. არამატერიალიზებული ვაუჩერის მეშვეობით დაფინანსებისას, სააგენტო უზრუნველყოფს მცირე საოჯახო ტიპის სახლში, სათემო ორგანიზაციაში ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურე ანაზღაურებას მომსახურების მიწოდების თვის მომდევნო თვის 15 რიცხვის ჩათვლით და ვაუჩერის თვის ასანაზღაურებელი თანხა გაიანგარიშება დღიური დაფინანსების ოდენობის ნამრავლით მომსახურე მიღების თვის კალენდარულ დღეთა რაოდენობაზე, ხოლო დედათა და ბავშვთა თავშესაფარ ბენეფიციარისათვის გაწეული მომსახურების ანაზღაურებას, არაუგვიანეს მომსახურების გაწევის მომდევნო თვის ბოლომდე, მომსახურების მიღების თვეში ბენეფიციარის მიერ მიღებული მომსახურების დღეების

რაოდენობაზე. ამასთან, მომსახურების თვეში ფუნქციონირებად მცირე საოჯახო ტიპის სახლ შეუქმნებელი, ლიმიტით განსაზღვრული ადგილები ანაზღაურდება დღეში 8,5 ლარით, მაგრამ არაუმეტე ლიმიტით განსაზღვრული ადგილების 50%-ისა.

8. ამ წესით განსაზღვრული ოდენობის თანადაფინანსების შემთხვევაში, ბენეფიციარი ან მისი კანონიკ წარმომადგენელი/მინდობით აღმზრდელი ვალდებულია მომსახურების მიღებისთვის 15რიცხვის ჩათვლ მომსახურების მიმწოდებლის შესაბამის ანგარიშზე გადაიხადოს თანადაფინანსების კუთვნილი წილი.

- საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.
- საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №68 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის დადგენილება №640 – ვებგვერდი, 02.12.2014წ.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება №295 – ვებგვერდი, 05.07.2016წ.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 ივლისის დადგენილება №372 – ვებგვერდი, 29.07.2016წ.
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №425 – ვებგვერდი, 02.09.2016წ.

მუხლი 4. მომსახურების დაფინანსების (თანადაფინანსების) პირობები და სამიზნე ჯგუფები

1. ქვემოთ ჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ხანდაზმულ პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში გაწეული მომსახურების დაფინანს (თანადაფინანსება) მოხდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასე მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 30 მარტის №93 დადგენილებ დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებული (შესწავლილი) იმ ოჯახების წევრებს, რომელ სარეიტინგო ქულა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღე დროისათვის:

ა.ა) არ აღემატება 57 000 ქულას – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად (ხანდაზმულ პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლ იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)) – დღეში 16 ლარის ოდენობით;

ა.ბ) არის 57 001 ქულიდან 70 001 ქულამდე – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ დღეში 13 ლარ ოდენობით (ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)), ხოლო გაწეუ მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან დღეში 3 ლარს;

ა.გ) არის 70 001 ქულიდან 120 001 ქულამდე – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ დღეში 11 ლარ ოდენობით (ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)), ხოლო გაწეუ მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან დღეში 5 ლარს;

ბ) „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასე მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებ დამტკიცებული მეთოდოლოგიის ფარგლებში შეფასებული (შესწავლილი) იმ ოჯახების წევრებს, რომელ სარეიტინგო ქულა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღე დროისათვის:

ბ.ა) არ აღემატება 65 000 ქულას – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად (ხანდაზმულ პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლ იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)) – დღეში 16 ლარის ოდენობით;

ბ.ბ) არის 65 001 ქულიდან 100 001 ქულამდე – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ დღეში 13 ლარ ოდენობით (ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)), ხოლო გაწეუ მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან დღეში 3 ლარს;

ბ.გ) არის 100 001 ქულიდან 150 001 ქულამდე – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ დღეში 11 ლარ ოდენობით (ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მისი ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)), ხოლო გაწეუ მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან დღეში 5 ლარს;

გ) სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ სხვა ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატიდან, სათე ორგანიზაციიდან და სააღმზრდელო დაწესებულებიდან გადმოყვანილ ბენეფიციარებს, აგრეთვე სპეციალიზებულ დაწესებულებებში მცხოვრებ ბენეფიციარებს გაწეული მომსახურების დაფინანს (თანადაფინანსება) გაუგრძელდეს იგივე პირობებითა და ოდენობით;

დ) ბენეფიციართა სრულ შეფასებამდე, ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირთა პანსიონატსა და სათე ორგანიზაციებში მცხოვრებ ბენეფიციარებსა და ფონდის ფილიალებში გადაუდებელი წესით მოთავსებ; ბენეფიციარებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად (ხანდაზმულთა პანსიონატში, შშმ პირ პანსიონატსა და სათემო ორგანიზაციაში, რომელიც არ არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან მ ტერიტორიული ორგანო (ფილიალი)) – დღეში 16 ლარის ოდენობით;

ე) ბენეფიციარები, რომლებიც არ განეკუთვნებიან ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებ გათვალისწინებულ არცერთ კატეგორიას, გაწეული მომსახურების საფასურს იხდიან საკუთარი სახსრებ,

სრულად – დღეში 16 ლარის ოდენობით.

2. სააღმშრდელო დაწესებულებასა და დედათა და ბავშვთა თავშესაფარში გაწეული მომსახურება ბენეფიციარ დაუფინანსდებათ სრულად. ამასთან, სააღმშრდელო საქმიანობის ლიცენზიის ფლობა არ უკავშირდ სახელმწიფო დაფინანსების ვალდებულებას.

3. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ 18 წელს ზემოთ შშმ პირების დღის ცენტრში გაწეული მომსახურება დაფინანსდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

ა) „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული იმ ოჯახების წევრ რომელთა სარეიტინგო ქულა სპეციალიზებულ დაწესებულებაში მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროისათვის არ აღემატება 100 000-ს – გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად, თვეში 230 ლარ ოდენობით;

ბ) დანარჩენ შშმ პირებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ 75%-ით – თვეში 172,5 ლარის ოდენობით. ხოლო გაწეული მომსახურების თანადაფინანსებისათვის იხდიან თვეში 57,5 ლარს. ამასთან, თუ წინა თვე ბენეფიციარის (ბენეფიციარების) მიერ ნებისმიერი მიზეზით გაცდენილ (მ.შ. არდადეგებისა) დღეთა რაოდენობა ან მეტია, მიმდინარე თვეში ვაუჩერით დაფინანსებული მომსახურების ანაზღაურებისათვის ჯამურად გადასარიკ თანხის ოდენობა მცირდება გაცდენილი დღეების რაოდენობის ნამრავლით 8,25 ლარზე. დაფინანსების აღნიშნული პირობა ვრცელდება 2016 წლის ივლისისა და შემდგომ პერიოდში მოქმედ ვაუჩერის ტალონებზე.

3¹. დღის ცენტრში შშმ ბავშვებს გაწეული მომსახურება დაუფინანსდებათ სრულად, თვეში 230 ლარ ოდენობით. ამასთან, დაფინანსების აღნიშნული პირობა გავრცელდება 2016 წლის ივლისისა და შემდგომ პერიოდში მოქმედ ვაუჩერის ტალონებზე.

4. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ბავშვთა დღის ცენტრში (გარდა, მიუსაფარ ბავშვთა დღის ცენტრისა) გაწეული მომსახურება ბენეფიციარებს დაუფინანსდებათ სრულად, დღეში 6 ლარის ოდენობით. ამასთან, დაფინანსების აღნიშნული პირობა გავრცელდება 2014 წლის ნოემბრის და შემდგომ პერიოდში მოქმედ ვაუჩერის ტალონებზე.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 8 მაისის დადგენილება №168 – ვებგვერდი, 11.05.2012წ.

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 28 მარტის დადგენილება №68 – ვებგვერდი, 01.04.2013წ.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 28 ნოემბრის დადგენილება №640 – ვებგვერდი, 02.12.2014წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 ივლისის დადგენილება №295 - ვებგვერდი, 05.07.2016წ.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 სექტემბრის დადგენილება №425 - ვებგვერდი, 02.09.2016წ.